

№ 17. თბილისი, 1949 წ.  
გამომცემლობა „კომუნისტი“.

# ნიაზბი

გამომცემის წელი XXVI.  
ფასი 2 მან.



**Сигнальный экземпляр**

## პრობის გვირგვინი ნაღობა

ნახ. ი. ქოქიაშვილისა

— ძნელია თამადაობა: ყველა სახელოვანია, ყველას ქება-დიდებას უძღვნის ჩვენი ქვეყანა, მე ისეთი რაღა ვუთხრა, რომ მოეწონოთ?

— პირობა მიეცე, რომ ყველანი მაგათ მაგალითს მივბაძავთ, — აუცილებლად მოეწონებათ.



ფინანსთა საზინებ-  
რის საკონტროლო-  
საკმედიო სახმარ-  
ველს გორჯომის  
რადიოს კონტრო-  
ლირ-რემიორს ამხ.  
კულუხაშვილს

მშენებელი მგრეველი

ნახ. ღონისა  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ჩინგი ამ მოკითხვასა და ნახვის ნატვრას გიგზავნით, ასე ვთქვათ, „შეთავსებით“. ჩვენი ვარაუდით არ უნდა გეჩოთიროთ ეს სიტყვა, რადგან ბორჯომში თქვენს საფინანსო კონტროლს დაქვემდებარებული დაწესებულებები ისე გატაცებული არიან სა-  
მუშაოთა შეთავსებით, რომ სხვა გამოთქმა, ალბათ, გაუგებარიც იქნებოდა.

ცხადია, თქვენ უმაღლეს ბორჯომელ ბუხშალტრებს იგულისხმებთ! ან კი სხვანაირად როგორ შეიძლება, როცა შეთავსებაზე ჩამოვდებულ სიტყვას მოკრავთ ყურს? წარმოდგენილი გვაქვს, თუ როგორ რიგის მიხედვით გადასთვლით მესხიერებაში ამ ციფრების ვარტუოზებს, რომელნიც თქვენი ლმობიერი დამოკიდებულების წყალობით ზიდავენ სრულხელფასოვან შეთავსებათა „მძიმე ტვირთს“ და სადაც სალოკი თითი მიუწვდებათ, ერთი და იმავე დროს სრულხა და სალხალამათ ხელფასს ღებულობენ რამდენიმე ადგილიდან ერთად.

ჩვენის წარმოდგენით პირველად რაისაბჭოს ადგილობრივი მრწველობის მთავარი ბუხშალტერი გიორგი არუთინოვი გაგახსენდებათ. გაგახსენდებათ და შეგებრალბათ, რომ ეს „საწყალი“ კაცი მხოლოდ ორ თანამდებობაზე მუშაობს ხელფასის სრულ განაკვეთზე მაშინ, როცა შეიძლება სამ და ოთხ შეთავსებას ასრულებდეს.

მაგრამ თუ გულჩვილობაზე წავა საქმე, რატომ არ უნდა შეგებრალბოთ იმავე ადგილობრეწვის ბუხშალტრები ნ. მალიძე, პ. გაბრიელიანი და გ. გოგიჩაიშვილი, რომელნიც აგრეთვე მხოლოდ ორ-ორ თანამდებობას ასრულებენ და მხოლოდ ორ-ორ ხელფასს ღებულობენ სრული განაკვეთით?

შემდეგი თქვენი შებრალების ობიექტებად ჩვენ წარმოდგენილი გვყვანან კომუნალური ბანკის მთავარი ბუხშალტერი მაკოვსკაია, რომელიც ერთ და იმავე დროს რაიფთაიჭის მთავარ ბუხშალტრობას ათავსებს და ორგანვე უკლებლად იღებს ხელფასს სრული განაკვეთით. მას მოჰყვებიან: ბურის ქარხნის მთავარი ბუხშალტერი პატეიშვილი, რომელიც „ითავსებს“ სამტრესტის ხელფასს, რაი-შესალოაროს მთავ. ბუხშალტერი ლომიძე, რომელიც ისე დაჩაგრულა, რომ იძულებულია ამ ხნის კაცმა საბავშვო სახლის ბუხშალტრის სრული ხელფასი შეითავსოს.

ჩვენ გვინდა უშამდგომლობა ადვილათ თქვენს წინაშე, რათა ასევე შეიბრალოთ რაიჯანმრთელობისა და ქალაქის პოლიკლინიკების ბუხშალტრებიც (რახაკვირველია, ყველა მათგანის შებრალება უნდა იგულისხმოს მთავარ ბუხშალტრების თანრიგით); მათ შორის ყველაზე დაჩაგრულად მიგვაჩნია ჯანგანის მთავარ აკაკი რევა-  
ზიშვილი, რომელიც ისე თავმდაბალი აღმოჩენილა, რომ იქ, სასწრაფო დახმარების ხანტრის ხელფასიც შეუთავსებია.

იქვე უფრო საბრალო აღამიანებად ჩვენ მიგვაჩნია ელ. ყიფიანი, რომელიც საბავშვო ბაგის ექთანია და ხათრით საწყობის გამგის ხელფასსაც დაბატრონებია, ან თუნდაც ჯანგანის №1 საწყობის გამგე გ. ბლიაძე, რომელიც №3 საბავშვო ბაგის მომმარაგებლობას ვერ „დაუტვირთავს“ და ხარძერ სამზარეულოს გამგის სრული ხელფასიც შეუთავსებია.

მათთან ერთად, გთხოვთ, შესაბრალოსთა ჯგუფში იგულისხმოსთ აგრეთვე ბუხშალტრები ვალ. მდინარაძე, თამ. ძიძიგური და პოლიკლინიკების, ხანტიჩხბეჭეტიხა და საავადმყოფოს ექიმების უმრავლესობა, რომელთაც სრულ ხელფასთან შეთავსებათა ისეთი ტვირთი წამოუკიდნიათ, რომ ნამდვილ სამუშაოსათვის დროც კი არა რჩებათ.

რაკი სიტყვამ ჯანგანამდე მიგვიყვანა, გვინდა გავიზიაროთ ერთი „კურთხეობა“.

ამას წინათ მოქ. ი. მაღრაძემ სბეცილობის მიხედვით ითხოვა ვენდისპანსერის პროფილაქტიკუმის ექთანის თანამდებობა, რომელსაც სხვა სამუშაოსთან ერთად „ითავსებს“ ექთანი ნიორაძე. მაღრაძეს რაიკომიდანაც უშუამდგომლეს, მაგრამ რაიჯანგანის გამგემ ამხ. ჩადუნელმა გაიკვირვა:

— როგორ? შეთავსებული მოგხსნა და უმუშევარი მივიღო? მართლაც რა ახირებულია: მაღრაძეს ისიც კი არ ცოდნია, რომ შეუთავსებლად სამუშაოს თხოვნაც კი თურმე უხერხულია და აწუხებს ჯანგანის გამგეს.

თქვენი ლმობიერი გულის ამბავი რომ ვიცით, ამხ. ჩადუნელსაც შეიბრალებთ.

რაო? გვეთანხმებით, რომ კანონით, გამონაკლის შემთხვევაში დასაშვებია სამუშაოს შეთავსება, მაგრამ დანაშაულია ხელაღებთი შეთავსებები და სრული განაკვეთებით ხელფასის გაცემა? ამასი ჩვენც გვეთანხმებით, პატივცემულო ამხანაგო კულუხა-  
შვილო, მაგრამ ფაქტები? რა ვუყოთ ფაქტებს, რომლებიც თქვენს თვალწინ ხდება?

მოდით, გამოვარკვიოთ ისინი.



ციხმარე დილას ამაყად  
მალაროს კარებს შეაღებს,  
დახედავს ფენებს ხალისით  
და შავი ოქროს წიაღებს  
დაჰკრავს, ვაჟკაცურ მარჯვენით  
დაშლის, ახვავებს ზოდებად,  
შრომობს და გულს უხალისებს  
გმირის მაღალიწოდება,  
გულს უხალისებს შეგნება,  
რომ მოწინავე მნგრეველი  
დღეს კომუნიზმის შენების  
გმირია დაუძლეველი.

ნიანუ

ხელახლად გადავედით მდინარე ტეტე-  
რეზე და ამ მდინარის ნაპირას მდებარე ლამაზ  
უკრაინულ სოფელ ბლიტჩაში დავბანაკდით.  
ისე სწრაფად შევიჭერით ამ სოფელში,  
რომ პოლიციამ იქიდან ვერაფრის გატანა  
ვერ მოასწრო და ფიცხლავ ტყეში მიიმალა.  
სოფელში შემოსასვლელ ყველა გზაზე მცვე-



ლები დავაყენეთ და უშიშრად დავიწყეთ  
სიარული ქუჩებში დღისითაც და ღამითაც.  
სოფლის ცენტრალურ ქუჩაზე კოხტა ქვის  
შენობაში სრულ წესრიგში აღმოჩნდა სატე-  
ლეფონო გაყვანილობა. ამ ტელეფონის აპა-  
რატთან დაკავშირებული იყო ბლიტჩის ირგ-  
ვლივ მდებარე სოფლების სატელეფონო  
ქსელი.

ტელეფონთან მივიდნენ კოვბაკი, რუნდვეი,  
ვერშიგორა და სხვა ამხანაგები: ტელეფონის  
მილი პირველად ვერშიგორამ აიღო. მან  
სუფთა ქალაღი მოითხოვა. ტელეფონში  
მეზობელ სოფლებიდან პოლიციელების  
ნერვიული ყაყანი ისმოდა.

— ივანოვკა, რატომ არ პასუხობს ბლი-  
ტჩა.

— მეც მაგას ვკითხულობ, რატომ არაფე-  
რი ისმის?

— ბლიტჩა, ბლიტჩა! წყალს და მეწყერს  
წაუღიხართ ყველა! დაგეძინათ, დაიხოცენით?

— კელენცი, ლეონოვკა, ლეონოვკა!

— გისმენთ!

— ვინ არის ტელეფონთან?

— პოლიციის უფროსი.

— ბლიტჩასი თუ იცით რამე?

— ის ვიცი, რომ გამოძახებზე არ გვიპა-  
სუხებს.

— ჩემს გვერდით დგას ამ წუთში ვახმის-  
ტრი და წინადადებას გაძღვეს ბლიტჩაში  
გაგზავნო კაცი და გამოარკვია იქაური  
მდგომარეობა. პასუხს ერთ საათში ველით.

ჩუმი სიცილით იგუდებოდნენ პარტიზანთა  
მეთაურები, ამ საუბარს რომ ისმენდნენ.

(ნაწყვეტი ნარკვევიდან: „გმირთა სიხსლით“)  
ხელიდან ხელში გადადიოდა ტელეფონის  
მილი.

სალამოს რვა საათისათვის, ლეონოვიდან  
სხვადასხვა დროს ბლიტჩაში გაგზავნილი  
ოთხი მოენე პარტიზანების საკომენდანტოში  
ისხდნენ და ვაოცებულნი ერთიმეორეს  
თვალეებში ჩასცქეროდნენ.

სამი დღე დავყავით ბლიტჩაში. მესამე  
დღეს მტრის ორი ბატალიონი, ნაციონალი-  
სტების ბანდასთან ერთად სოფელს მოადგა.

კოვბაკმა მტრის ზურგში ორი ასეული  
გაგზავნა. ამ ასეულებმა ისარგებლეს ხშირი  
ტყით და მტერს შეუმჩნევლად ზურგში მოე-  
ქცნენ. ხაფანგში მომწყვდეულმა ფაშისტებმა  
ბრძოლის გადამწყვეტ წუთებში იარაღი  
დაყარეს და წყალში გადაეშენენ. განწირუ-  
ლთა ერთი წყება ჩაიხრჩო აღიდებულ მდი-  
ნარეში, დანარჩენები მცურავი ყინულის  
ლოდებს მოებლაუქნენ, მაგრამ აქ მათ პარ-  
ტიზანების ტყვიამ მიუსწროთ.

ბლიტჩის ბრძოლებს შეძრწუნებით აღევნე-  
ბდნენ თვალყურს ივანკოვოს რაიონის ნაციო-  
ნალისტები. ამ დროს თვით ივანკოვოში  
დიდ განუკითხობას და პანიკას ჰქონდა  
ადგილი, შიშმა შეიპყრო გამყიდველები.

ახალგაზრდა მეკავშირეებს მუდამ ბრძო-



ლისკენ მიუწევდათ გული. ჩვენი ახალგაზრ-  
დობა სოფელ ბლიტჩაში ბრძოლის შემდეგ  
დიდი ნადავლით დაბრუნდა. ჩოჩქოლი შეი-  
ქმნა ბანაკში, ყველას ყურადღება დაზვერ-  
ვაზე წასულ ახალგაზრდობის—ჩერნიშევის,  
სემინისტის, რადიკ მიროშკინის და შიშოვის  
საქციელმა მიიპყრო. ბანაკის ერთი კუთხი-  
დან მეორეში გადადიოდა ერთი და იგივე  
სიტყვები:

— ახალგაზრდებმა ტყვეები მოიყვანესო.

რამდენიმე წუთში ახლად მოსულებს ზღვა  
ხალხი შემოერთდა: თხუთმეტი გერმანელი  
ჯარისკაცი და პოლიციელები მოიყვანეს  
ბიჭებმა, ხუმრობა საქმე არ იყო! ჩვენი ყუ-  
რადღება ერთმა ორიგინალურმა და სასენ-  
საციო გარემოებამ მიიპყრო. სახელდობრ,

ტყვეების არაჩვეულებრივმა პოზამ: შარვლე-  
ბის და ქვედა საცვლების გასახსნელები ყვე-  
ლას ხელით ეჭირა, ზედ ხელს არ იშორებ-  
დნენ, თავჩაქინდრული იდგნენ, რცხვენო-  
დათ, ჩვენს შეკითხვაზე, თუ რას მოასწავებ-  
და ეს, მეკავშირე სემინისტმა გაგვიმარტა:

— შარვლებზე და ქვედა საცვლებზე ფოლა-  
ქები დავაჭერითო!

— ვინ მოიგონა ეს ოინი?

— პირადათ მე!—ცოტა უხერხულად თქვა  
სემინისტმა.

— რად დაგჭირდათ ეს, რა საჭირო იყო?

— ვითხრათ სიმართლე, ცოტა არ იყო  
შევექვდით, ხუმრობა საქმე არ იყო თხუთმე-  
ტი ტყვე ვაჟაკის ერთად წაყვანა. ვთქვათ,  
პირი შეეკრათ და თავგანწირულობაზე წასუ-  
ლიყვნენ, უფრო სწორად რომ ვთქვათ ბავშ-  
ვები დავეჯახეთ და დაგვრეოდნენ, თუმცა  
ვერაფერს გახდებოდნენ, ძვირად დაუჯდე-  
ბოდათ თავხედობა, მაგრამ მსხვერპლი შესა-  
ძლოა მოყოლოდა. უცებ ეს ხერხი გამახსენ-  
და, ამხანაგებს ჩემი მოსაზრება ვაუზიარე,  
მოიწონეს, თანხმობა განაცხადეს!

— კუჭამახვილი მოგონებაა, ყველაფერი ეს  
კარგი, მაგრამ როგორ შესძელით ტყვეების  
დამორჩილება, ფოლაქების დაჭრაზე დათან-  
ხმება?

— საქმეც ვგ არის, როდი დავგთანხმდე-  
ბოდნენ, რომ ღიათ და თვალსაჩინოთ გვე-  
წარმოებია ეს ოპერაცია. დაშორებით, მოფა-  
რებულ ადგილას, სათითაოდ გაგვყავდა  
ტყვეები და მათ ცალ-ცალკე ფოლაქებს  
ვაჭრიდით, მხოლოდ როდესაც შემდეგ ისინი  
ერთად შევეყარეთ, ჩვენი ღონისძიების შედე-  
გი ყველასთვის თვალსაჩინო გახდა, გვი-  
ბღვერდნენ, გვემუქრებოდნენ ტყვეები, მაგ-  
რამ რას წაიღებდნენ, როდესაც ხელები და-




კავებული ქონდათ. ვფიქრობთ, არ არის  
ცუდი მოგონება, ამ საშუალებით ჩვენ ყოველ  
შემთხვევისათვის თავი დავიზღვიეთ!

დავით ბაჭრაძე  
საბჭოთა კავშირის გმირი

**თითარი სახლის შავი საქმეები**

შვეთი. შტატების კონგრესი არკვევს მკვანარტორების საქმეს, რომელნიც, სარგებლობდნენ რა ტრუ-მენის პირადი მფლობელობა და თითარი სახლის მფარველობით, ეწვეოდნენ მკერთობებს.



თითარი სახლის შავი ბროკა მარტო იმ კი არ ანაზადებს, იგი წრდის და ხელს უწყობს თაღლითობს და არანაშადებს.

ამ სამსჯავრო ტრუმენული ახტი მორალს ემყარება: ქურდს ისა „სტრის“—ვინც იმავ ქურდს ქურდობაში ემხარება.

ფსანაურის ქუჩაში ბავ-შვიდი თავს ირობობდა ბუ-ბუის სრულიად. ბი-გენი—ფსევდიუ გზად მიი-ვალდა.

**ფსანაურები**

ფსანაურის ფსევდიუ—სიცილით მიასტუსეს მთი და სექშიანობა—განაურებს, ამ სტუდის მნიშვნელობას მხოლოდ მეორე დღეს მიხვდები. საკმაოდ მოზრდილ ბაზარზე, რომელიც არა-გდის პირად არის ვაშლილი, სურსათის ვასასიდად ჩამოსულ კოლდორენებს მხოლოდ სამიოდ სასურვი ჭიჭინა დადებულ და გრეგების ურთილობის გამო გაიწიქნო ჭიჭი და სახლდენ მწიფობული ათას-ს. რი ნიღბის გრეგების მავირობას პროდუცენტი, ხორბლის მოვარეული აპაური ბავშვები, თურმე ამის ც...ო რბნებზე გვეს ფსანაურის, ანუ ფსანაურულ ჭრის.

ფსანაურის შესახებ ფსანაურთი თაულებსიცი კი არცებდეს: ერთი მოხვედს ვაშლიანობის მიხითი ქვის გა-ტეხვის დედას, მის სამსჯავროებას დაბნეულა, ერთი მოხვედს საკლავო ერბის ქილას მოხვედრის, მეორე კი ამ ბარის აუნტის, ქილა გატეხულა, ბაზრის აუნტის კი ან არ აწილელა, რადგან ამ მოხვედგან ბარის დედა სატრითი ქილია ადებულა. უფთხად, დაბარალებულად მიიღი არ კირობებოლი—თქ-ვანს აუნტის და ჩვეების „ვაშლიდის“ მიხითი, გზა ხანგრძლივია.

მეორე მწიფობვასაც ახასლებენ: ერთი გამოხედავს ხედიურს, თურმე, სახლიდან წამი-ლდა მამაპაპური სასურთი—თაულებზე ჩამოყვებულ მოხუცებს თფუშები, გირბებს მავიერ გამოწიქნოლი ჭიჭინა საბი ცალი ხანგრძლივ: ერთი ორკეობრაშიანი, მეორე—კალიფორნიანი და მესამე კი სულ პატარა—

თიბას გრამს. გაუშლია ხედიურს თავისი „ხონა-წი-ნი“ მოწიქნობადა, საღიშობე უცხია მეტრისა-თვის, მავრამ მწიქი აბოლს ათრენი მიკერბიდა და ვასასიდად ჩამოტრიალი ერბო უნაქვს წყლია.

როგორც ფსანაურებმა ამჩნვეს, ბარის სას-წიურ-გრეგები მომარაგებაზე მხოლოდ რაიოკაუცენ-რის მალაზია მოხუნეს, ზღობად მოტრინია ვასასიდად—საღიდაოკი სასურთები, ზღობად მოტრინია ფსიკი ადვიდს დიდი, მავრამ ფსანაურთი მხოლოდ ერთი ფიოტიკა!

— რა უნაქვს, წაიღონ და ცოტ-ტოტა, ნაწი-ნაწილ აწიონდა—ამბობენ რაიოკაუცენობლები, მავრამ ასე ნაწი-ნაწილ აწიონე თუ ადვილია, თავად სცადონ, მავრამ გადაპაღონ, სახლი მიტანილი სპეცულატორ ფსევდიუ ჭიჭინა, სი წაწი-წილი ამ სასურთებს ას-სა გრამობით და ნაწი-წი ფსიკი გაატარებენ! დღე-ში რამდენ კალიფორნიას ვასასიდად!

ფსანაურის რაიოკაუცენობის მუშაებზე ფსიკი უფროდ კუთხობდა აპაური ბავშვები— და მე მგინია, აქვს, ახლოს მდებარე სუფელ ქვეყნისა და რაიოკა-უცენობის მალაზიის მუშაკი „დასანაწილის“ გადენით ფსანაურის დახლებვეთი არ დასრუტან!

**ვილილი**

საფრანგობის საფარველი უფილი მინისტრი მიიღო თავა-მიდებით იცავს პროცესულ თიფლისწუნებს საფრანგობის ამერიკისთვის დაქვეყნებ-მე-49 შტატის სახელწოდებით.

ნან. გ. ლომიძისი



რა სწავლა, იცით, ბილდის საფრანგეთი სურს გაუიღოს! რომ ვით უნაქვს—ქია სესის! ჯაკეპე უფლებ დაიკიდოს!

**მკარამული ნაქაქაქი**

1. იტრინაში გადაგებული თეებები ჩიოუნენ: ექნათ, ბევი რამე გვაქვს სათქმელი, მავრამ პი-ბუშებითა გვაქვს სასესი.

2. იმენს ქვიფობა, რომ მუდამ უქვიფოდ იყ-ვი. საუბარ ცტვიის სესის საქმეშიმე ეტყება სოფ-

4. სიერისგან აღარც ერთი ცელი არ შერქონე-მინიც ახებრება ყველასთვის თიერი კვიდების ჩი-ნებას.

5. ქურდებმა მალაზიის გატეხვით დირექტორს გაბზარული გული გაამთიფენ.

6. ბუხსადტერი, მის ნათქვამში რომ ემევი ახე-შეტებან, დირექტორს იყვებენ ბოლქ.

**ახალი ანდაზები**

1. ვიჭა უშუბისი ლუღიანი, თვაგდამაშული, ჭუ-ღიანი.

2. ერთი ბასანბი მომხმარებელი, სულ არ ჩაბ-სურს კომინდანტი.

3. ცოლს მოუხდა „აბუბადო“, „მოსსიკირი“

4. უნდა ცოლის ბაზმებამო.—სასამართლო-რის უნებებამო.

5. ათია თუ უშუბიანი—ბუხსადტერი ძუშვი-რი.

**ნოღარ ჩხეიქ**

**შაქარია შერჩადაშვილი**

**თავალი პაქაქი**

ზოგიერთი საწარმო გატაცებულია ჩაოღრე-ნან. ა. კანდელაკისა



1.—ჩვეთვის დიდად ხახაქულაო, ამხანაქე რომ ჩვენსა ხახაქურს მავლებს დამაზადებს გვეპე 11!

2.—პროცენტენ შეხარულა...

**გული გულსა სცნობს**

— ვატიკანს ანათებს გადასაცემის სტები. — ტრუ და მისი ბროფა საიდგულო მოლაპარაკებას აწარმოებს ვატიკანთან.

ნან. ა. კანდელაკისა



— როგორა აწარმოებთ ტროსთან მოლაპარაკებას, როცა ის ანათებს გადაცეით? — რა ბრძანება, ანათებს კი არა, უფლებსტრებს გადაცეით, ის ხომ ჩვენი სული-ერი შეიღია!

**შსაბილი დღე**

(მონათქვამი 1. ტა-რიელ მეარული—საფარ-რისთვის დირექტორი, 2. გ. ზაქაძე—ფსევდიუ სა-მარადეოს კვიზორია, 3. ა. ზურაბული—პროკორთა კურტორ შვიის პირველ სანატორიუმში სამმართველს სანიანსტრეობი 4. სასტორიობის თა-ნანათქვამი.)

გ. ზურაბული—ამხანაგები, თქვენი სანატორი-უმის სანიანსტრეო მფლობელობა, სიცილით რომ პირ-და-პირ დადებენ, დამამარადეობლებულა და არადა-მამარადეობლებულა მე კარავდ ვაქვიანი მფლობე-ობას და აღბა ამ. ზაქაძეც დაბნეობდა.

გ. ზაქაძე—ერთი მოწიქნობა არ გვირდება, მენ სომ ჩემზე ადრე ჩამოხვედი ამ სანატორიუმში. თეზე შეტია აქა ხარ და კრეფ მოწიქნი ვინდა?

გ. ზურაბული—ამ. ზაქაძე მართალს ბრძანებს, მე ნაწუ შეტია ნაწია აქ ვარ და ვამარაუბ ვანატორი-უმის სანიანსტრეო.

1. ზაქაძე.—თუ ანათებინათ.

გ. ზურაბული—ზურაბული ანსინიანტიანსაქ. მავრამ, ამ-ნანათქვამი, ვატიკან უნდა გვეკრძაღვს: ანსინიანტიანა გა-მიწიქნობას არა დირექტორის თაუბრებებითა, არა-მე მისი დიდადობა და ქაიშების უპასუხობებლობით. 2. ზაქაძე.—ლორის და ქაიშების თაუბრების მი-ტ-ობა უნდა.

გ. ზურაბული—რადეს სასიცილი უფრავსელო. ლი-რანბე და ქაიშებზე დირექტორის მიეპაპობებით თა-ნანათქვამი ქალი ანთიქონია!

1. ზაქაძე.—ანდრონიან დირექტორის ბავშვის მოვალს უნდა.

გ. ზურაბული—სადამის შეიღება მიღვლს ცილის-წაქება ანდრონიან და-რანტრების ბავშვის კი არ იღვლის, სიცილით დირექ-ტორის ბავშვის დავაძლე-ვი!

გ. ზურაბული—ამხანაგები, მოთხმუნას სახლარი-აქვს. თქვენ თქვენი საქმეს მოტარებ, ჩვენ ლორებს და ქაიშებს კი მე მოვლელი ჩიოუნენ!

1. ზაქაძე.—ქაიშებზე და ქაიშებზე ლარაკობა. ნიფო უფალოა იმხმუნდა, რომ ოროდ სიტყვა დასტენვლელა მომსახურებაზე ველოვ?

გ. ზურაბული—ერთი ამას უფროთუ? რაი სალაპარაკო დასტენვლელა მომსახურებაზე? გრილი ჭავა იმით არ აქვიათ და ფიქრების სურს ახლა რა უფროთ, თუ ლორები და ქაიშები აწუხებენ ხანდობან?

(ლორის დირექტორი და ქაიშები შევიდნენ ლორების და ქაიშების. ერთ ღერს ფრეჭე წამოყვებულ აქვს სანატორიუმთან მიტაცებულა ჭავა.)

გ. ზურაბული—გინადენ ქრებს ვატიკანელა ტენი-ფრეჭე მოუხმუნებლელა, მოხმუნებს სასტატორი-უმსაბიარობის შესახებ ვატიკანზე შეწიფენ თეში, იბილისში წაწილს წინადღს.

ფარდა (სიკ ლორებისგან დადგურულ)



— ისეთი ჰკვიანია ჩემი ყურში, რომ ქურდს სუნითა ცნობს.  
— მე კი მიკვირდა, რომ შენს ქმარს სამსახურშიც არ ცილდებოდა!

დაწყვეტილი დღე

გამოცდებიდან დაქანცული, სიცხისგან მოთენთილი დაბრუნდა უკარგებლიძე.

— ონ, ეს დაუსწრებლები, დაუსწრებლები.— წაიბურტყუნა მან,—რა მოუშხადებლები მოდიან. ზოგმა მაინც როგორ დაკარგა თავმოყვარეობა, არაფერი იცის და კარგი ნიშნის პრეტენზია კი აქვს!

— მეუღლემ დაგირეკათ, გალაქტიონ ალმასანოვიჩი,—უთხრა მდივანმა.

— რა მინდაო?!— განცვიფრებით იკითხა გალაქტიონმა, რადგან ცოლი სულ ორი დღის გაგზავნილი ჰყავდა სააგარაკოდ მანგლისში.

— ნახევარ საათში მანდ ვიქნებიო.

ამან კიდევ უფრო შეაფიქრიანა გალაქტიონი, ნეტავ რისთვის ჩამოსულა, ბავშვი ხომ არ გახდა ავადო. მდივანი გაისტუმრა და ის-ის იყო შემოსულ საბუთებს თვალღებდა დაუწყო, რომ ტელეფონის ხარი აწკარუნდა.

— გისმენთ,—ყრუდ ჩაილაპარაკა გალაქტიონმა.

— გალაქტიონ უკარგებლიძე ბრძანდებით?—

— დიახ.

— მე ქიქიას მეუღლე გახლავართო.

— ვინ ქიქიასი?— იკითხა გალაქტიონმა, რადგან ასეთი გვარისას არავის არ იცნობდა.

— ტრესტის მმართველისა,— მიუგო ქიქიამ ერთგვარი წყენის კილოთი, რაკი ქარხნის დირექტორი იმდენად „უიცი“ გამოდგა, რომ არ იცნობდა არც ტრესტის მმართველს და არც მის მეუღლეს.

უცნობი ქალის აწვეულმა ტონმა ცოტათი შეაკრთო, უთუოდ ვიცნობ, მაგრამ ვეღარ მოვიგონეო. გულმავიწყობა დაღლილობას დააბრალა და თავაზიანად ჰკითხა:

— რა გნებავთ?

— ამ ერთი საათის წინ ჩემი ქალიშვილი ჩასტყერით ქიმიასში.

— ალბათ დაიმსახურა!— ასეთ შემთხვევებში ჩვეულებრივი გულგრილობით მიუგო გალაქტიონმა.

— როგორ გეკადრებთ! ამაღამ მახინჯაურში ვაგზავნი დასასვენებლად. დღესვე უნდა მიიღოთ და ხელმეორედ გამოსცადოთ.

— ერთ საათში ხომ ვერ ისწავლიდა ქიმიას, ქალბატონო, მოემზადოს მახინჯაურში და როცა ჩამოვა, ჩამაბაროს.

— აჰ, აჰ, რას ბრძანებთ, ბავშვს დასასვენებლად ვაგზავნი და არა სამეცადინოდ. რაც იცის ისიც კმარა მისთვის. ერთი სიტყვიც, ახლავე გამოვაგზავნი თქვენთან.

გალაქტიონი აენთო. საერთოდ არ უყვარდა, როცა ასეთ საქმეებზე საპროტექციოდ მიმართავდნენ. — არა მცალია თქვენი ქალიშვილისათვის, მოუშხადებლად ტყუილად ნუ გაირჯება!— მიუგო წყენით და ყურმილი ტელეფონის აპარატზე დაახეთქა. — ასეთი ცოლი რომ მყავდეს, პანდურით ვიფრენდი!— თავმოწონედ თქვა მან. კარი გაიღო და კაბინეტში მისი ახალგაზრდა, ლამაზი მეუღლე კისკისით შემოვიდა.

— არ მელოდი?— იკითხა მან სიცილით და დაუმატა,—ვერ ვძლებ უშენოდ, ხომ ხედავ, გალაქო!

— ბავშვი როგორაა?— ჰკითხა გალაქტიონმა ცოლს, რომელიც აბრეშუმის ცხვირსახოცით ნიკაპზე ოფლს იწმენდა.

— კარგად... დამისხი, გეთყვა, ბორჯომი, თორემ ამ სიცხემ ლამის გადაკრთოს.

— კი მაგრამ, რამ ჩამოგიყვანა ასე მოულოდნელად?— კვლავ ჰკითხა პასუხით დამშვიდებულმა გალაქტიონმა და ბორჯომის წყალი დასხა.

— მინდოდა შემემოწმებინა, ხომ არ ცუდლუტობ მეტეი!— სიცილით მიუგო მეუღლემ და რაკი შეატყო, მისმა ხუმრობამ სათანადო რეაქცია ვერ გამოიწვია, სერიოზულად დაიწყო:

— გალაქო, ჩემი აგარაკის პატრონის ქალიშვილი წელს უმადლეს სასწავლებელში აპირებს შესვლას. მისაღებ გამოცდებზე უნდა დაეხმარო. უკვე შეგპირდი. ვერ წარმოიდგენ, მთელი ოჯახი როგორი ყურადღებით გვეპყრობა მე და ჩემს მზიას.

— კი მაგრამ, როდის იყო ხალხს ვეზმარებოდი გამოცდებზე? ხომ იცი, როგორ მძულს ასეთი პროტექციები. რატომ შეპირდი?

— ოჰო, ეს—ლა მკალია, რომ ჩემმა ქმარმა, ინსტიტუტის დოცენტმა, კათედრის გამგემ და ვეგებრთელა. ქარხნის დირექტორმა ერთი კაცი ვეღარ მოაწყოს უმადლეს სასწავლებელში!— ისტერიულად წამოიყვირა გალაქტიონის ცოლმა და ქმარს თვალები დაუბრიალა.

— ისიც კმარა, რომ სულ არ სარგებლობ მდგომარეობით. ამას გარდა, მეც მინდა ხალხმა იცოდეს რომ ჩემი ქმარი რაღაცას წარმოადგენს ამ ქვეყნად!...— მან ტელეფონის სააბონენტო წიგნი გადმოიღო, მოძებნა საჭირო გვარი, ტელეფონის ნომერი, შემდეგ ქმარს მიუბრუნდა, მიუთითა ნომერზე და ბრძანების ტონით უთხრა:— დაურეკე!

— ვის?

— ქიშმარაძეს.

— არ დაეურეკავ, — პრინციპილურად, მაგრამ ოდნავ შემკრთალი ტონით მიუგო ქმარმა, რადგან შეფიქრიანდა, ჩემ ცოლს ჩვეულებისამებრ ისტერია არ დაემართოს და თავი არ მომჭრასო.

— არ დაურეკავ?— იკითხა გაკაპასებულმა ცოლმა და ზეწამოჭრა. გალაქტიონი უძრავად იჯდა: არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, კაბინეტში ჩხუბს ხომ არ დაუწყებდა?

ცოლი სწვდა ყურმილს და სასწრაფოდ აკრიფა საჭირო ნომერი. გალაქტიონი გაოცებული მისჩერებოდა.

— ქიშმარაძე ბრძანდებით?.. მე უკარგებლიძის მეუღლე გახლავართ... რომელი უკარგებლიძის?.. ქარხნის დირექტორის და ინსტიტუტის კათედრის გამგის... დიახ... რა მნებავს და, საქმე ეგება ერთი ადამიანის მოწყობას თქვენს ინსტიტუტში, უნდა დამეხმაროთ.. გალაქტიონი ხმამოუღებლივ უსმენდა ცოლის ტრახბასს. თავი ჩაქინდრა, სირცხვილისაგან გაჭარბდა.

ბარათი ახმაგიდან

სტუმართმოყვარე ხალხია, სტუმრები უყვართ აქ მეტად, მაგრამ სასტუმრო, რატომღაც, ჯერაც არა აქვს ახმეტას. ნიანგო, გოყვარს სტუმრობა, მე კარგად ვიცი, ზო და, შენ, თუკი ესტუმრე ახმეტას, აწუხრს, ოჟიოს, ხოდაშენს, სასტუმროს თუ ვერ იბოვი, სამაგიეროდ იცოდე: ყველა გულთბილად მიგიღებს და თავის სტუმარს გიწოდებს. არც ახანო აქვს ახმეტას, მაგრამ რად უნდა ახანო? ალანანს წყალი ეყვოდა, თუნდ მთლად კახეთი დაბანოს. როცა მოვრჩებით, ნიანგო, სხვა უფრო „მსხვილმან“ საქმეთა, სასტუმროსა და ახანოს მაშინ ავაგებთ ახმეტას.

შ.გიორგაძე

ნიანგის მიკვირება ხევისკართს

ბარისახოს სასტუმრო კერძო პირებმა დაისაკუთრეს.

ნიანგო, ეხე უსტარო არს ჩემგან ნამოღვაწები: ხელთ მაქვს კალამი, ჩემსავე ცრემლებში ამონაწები.

ის ოთახები წამართვეს,

რომლებშიც სტუმრებს ვაწვევდი.

აი, ეს მქონდა, გენაცვლე, შენდამი საუწყებელი,

მე, ბარისახოს სასტუმროს, სულ სხვა დამედო ელფერი.

ან რად მიხმობენ „სასტუმროს“,

სახელი აღარ შემფერის.

ხევისკართ გვეწვიე, ნიანგო,

თვალი მოავლე ამ კუთხეს.

შენი ხმა, ჩანგალისძევე,

ბარისახოშიც აქვს ღებ,

რომ ნახო შენას თვალითა,

თუ როგორ დამისაკუთრეს.

ჰკითხავ: რატომ? რის გამო?

ვერავინ დაგისაბუთებს.

გვწამს, შეიწმარებ ჩვენს თხოვნას,

არ იწყენ და არც ვაწყრები.

წამიედ, აქაც ბევრმა აქვს

ასაწითლები დაწვები.

ირაკლი არაბული

ხლებულიყო და ცხვირსახოცით ოფლს იწმენდა. ცოლი კი დოინჯ შემოყრილი იდგა და ყურმილში ჩასძახოდა:

— პირადად გინახულებთ და ყველაფერს გეტყვით... როგორ... არ გცალიათ?.. ვერ მიმიღებთ?.. ფუი... და ისეთი ძალით დაახეთქა ყურმილი ტელეფონის აპარატს, რომ უკანასკნელს ნომრების ასაკრფეი დისკო მოვარდა.

— დიდი აუტანელი ხალხი ბრძანდებით,— მიმართა მან ქმარს ზიზღისა და დაცინვის შენარვე კილოთი.— მე მას სხვა მხრიდან მოუველი, შენ კი ასეთ მოქცევას ცეცხლად ამოვადენი!— სწრაფად მოტრიალდა და ოთახიდან გავიდა.

გალაქტიონი თავჩაქინდრული იჯდა და დროგამოშვებით ოფლს იწმენდა შუბლზე.

გ. მახვილაძე



— რა მშვენიერი წვენი გამოიღო ამ პამიდორმა!  
— ეგ რა წვენია, პამიდორის წვენს რომ ხელმეორედ  
წვენს გააღენ, აი, ის მესმის!

ამხანაგო ნიანგო!

გთხოვთ გვიცნობდეთ: მაიაკოვსკის რაიონის - სოფ. დიმიის კალინინის სახელობის კოლ-  
მეურნეობიდან გახლავართ. გარწმუნებთ, ჩვენს კოლმეურნეებს ძლიერ უყვართ ლიტერატურა-  
ტურაც და ჟურნალ-გაზეთებიც. უთუოდ ეს გარემოება იყო გათვალისწინებული, როცა ჩვენს  
კოლმეურნეობასთან ქობ-სამკითხველო მოაწყეს, ლიტერატურა შეიძინეს, ჟურნალ-გაზეთები  
გამოიწერეს და რადიომიმღები დადგეს.

ყველაფერი ეს ძალიან კარგია, მაგრამ ძლიერ ცუდია ის, რომ ამ ქობსამკითხველოს  
გამგეს ჩვენი სურვილები ათვალისწინებული აქვს და სრულებით არ ფიქრობს ხალხის მომსა-  
ხურებაზე.

ქობსამკითხველოს კარებზე მუდამ ბოქლომი ჰკიდია, შიგ მოთავსებული ლიტერატურა  
და მიღებული ჟურნალ-გაზეთები (თუ შეიტანეს სამკითხველოში) თავგებისა და ობობების  
კუთვნილებად ქცეულა. რადიო ორი წელია რაც სდუმს. გარედან შევეცქერით ამ საცოდობას  
და ჩვენი აღშფოთება გამგის ყინულის გულს არ ეკარება.

ამხანაგო ნიანგო! გამოგვირკვიე რა დანაშაულობისათვის გვსჯის ჩვენი სამკითხველოს  
გამგე?

ო. შანიშვილი

პატივცემულო ნიანგო!

ყვარლის რაიონში შედის სოფელი გავაზი. არც ისე პატარა და ჩამორჩენილია ეს  
სოფელი, მაგრამ კავშირგაბმულობის ყვარლის განყოფილებას დაკარგული ვყვართ. გავაზში  
არა თუ ფოსტის განყოფილება, ერთი საფოსტო ყუთიც კი არ არის დადგმული, რომ ჩვენე-  
ბურებს შეეძლოთ კორესპონდენციების გაგზავნა-მიღება. როცა ვისმეს წერილი აქვს გასაგ-  
ზენი უბან-უბან დაეძებენ ფოსტალიონს, ან მიაქვთ მის სახლში და უტოვებენ თხოვნით, რომ  
მან ჩააბაროს სადაც ჯერ არს. ამის გამო გაგზავნილი წერილები (თუ არ იკარგება)  
ფოსტალიონის სახლში „მკვადება“ და მიხანს ვერ აღწევს.

გავაზის სას. საბჭოს თავმჯდომარეს კი ეს საქმე დაუძლეველი ჰგონია და ვერ ბედავს  
ერთი პატარა ყუთი ჩამოჰკიდოს ჩვენს სოფელში.

პატივცემულო ნიანგო! აუხსენით კავშ. გაბ. ყვარლის განყოფილების უფროსს და ჩვენი  
საბჭოს თავმჯდომარეს, რომ ეს საქმე არც ისე ძნელი მოსაგვარებელია და მათს მოვალეობა-  
საც შეადგენს.

ფ. გავაზელი

ნიანგის ფოსტა

ზუგდიდი

ჯ. ქირიას: თქვენს ლექსში, რომელშიც დასცინით რო-  
მის პაპის უილაჯო ჩიფჩიფს, მის მიერ კომუნისტების  
„ანათემისათვის გადაცემის გამო“, ნიანგი ერთ შეცდომას  
ხედავს. თქვენ სწერთ:

„ახლა მხოლოდ ახალ ომში  
ექვს პაპი განდიდება...  
...რა ქნას ახლა რომის პაპმა,  
ხად იშოვოს ლუკმა პური?“

ლუკმა პურის შოვნა სრულებით არ უჭირთ, არა თუ  
ისეთ ბებერ ქოთაკს, როგორც რომის პაპია, არამედ ახალი  
ომისათვის მოწეკმურტუნე ისეთ ფინიასაც კი, როგორც ტიტოა.  
მათ კარაქიან ნამცხვარს აუქმევენ ახალი ომის გამჩალებლები  
— უოლ-სტრეტიდან.

ამისთვის ყიდიან ისინი ხალხსაც, სიმართლესაც და სინი-  
დისსაც. ეს უნდა გაგეთვალისწინებინათ.

სოფ. უზაზათი

ხანჯარას: ნიანგი აღტაცებულია უშაფათის (ცხაკიას  
რაიონი) ჩაის ფაბრიკის მუშათა წარმატებებით. მაგრამ მას  
არ მოსწონს, რომ „უშაფათის ჩაის ფაბრიკის მუშათა სასაღი-  
ლოში, ნოქალაქევის სამომხმარებლო კავშირის გამგეობამ გამ-  
გედ დანიშნა ამავე სასაღილოს გამგედ ნამყოფი ვინმე ტყე-  
ბურჩავა, რომელიც მოხსნილი იყო, როგორც გამფლანგველი“.  
როგორც თქვენი წერილიდან ჩანს, ტყებურჩავას, თქვენი  
სასაღილოდან გაძევების შემდეგ, სხვა დაწესებულებებში  
უფრო მეტი თანხები გაუფლანგავს და მიუთვისებია.

გვეკითხებით:  
„რა მოსაზრებით გამოგზავნეს გამფლანგველი ჩვენს სასა-  
ღილოში?“

ეს ფაქტი გვარწმუნებს, რომ ტყებურჩავას დამნიშვნელები  
სად მოსაზრებაზე მწყურალად ყოფილან. ამიტომ იმედი გვაქვს,  
ცხაკიას რაიონოკურორი მაინც საღად შეხედავს ტყებურჩავას  
„მოღვაწეობას“.

სოფ. ლელვანი (ორჯონიკიძის რაიონი)

გრიგალს: თქვენს ლექსში გვთხოვთ სოფ. ლელვანის წყა-  
როს შეკეთებას:

ვთხოვ პატივცემულ ნიანგსა,  
თუ არ სურს გავხდე ღვარია,  
შემიქვიტირონ გვერდები,  
კარგი მომიწყონ ღარია.

ნიანგს შეუძლიან ამ საქმეში მხოლოდ იმით დაგვხმაროთ,  
რომ უშუამდგომლოს ლელვანელებს თქვენი სოფსაბჭოს და  
კოლმეურნეობის თავმჯდომარეებთან ამ წყაროს შეკეთების  
შესახებ, რაც მათს პირდაპირ მოვალეობად მიიჩნია.

**ჩანგალა გისტრა**  
საქართველოს კ. ბ. (ბ) ტყიბულის რაი-  
კომი გაცნობებთ, რომ ჟურნალ „ნიანგის“  
№ 13-ში გამოქვეყნებულ წერილში „მოგ-  
ზაურობა ტყიბულში“ მოყვანილი ფაქტე-  
ბი დადასტურდა.  
ტყიბულის საქალაქო საბჭოს კომუნა-  
ლური მეურნეობის განყოფილების გამგე  
ბ. კობახიძე და ინჟინერი დ. კაპანაძე  
ხუხუტი მუშაობისთვის მოხსნილი არიან  
სამუშაოდან. ქვანახშირის ტრესტის „ორ-  
ხის“ ხაზინაო განყოფილების და წერილში  
დასახელებულ სხვა ორგანიზაციათა მუ-  
შაობის გასაჯანსაღებლად მიღებულია  
კონკრეტული ზომები.

ერთსაც და მეორესაც...

„საქვაკრობის“ ფასანაურის მაღაზიაში კოლმეურნეებს მარილზე  
ძიულებით ატანენ აყროლებულ თევზს.

ნახ. ა. ბანძელაძისა



— ბექა, ამ თევზს მგონი ცუდი ხუნი უდის!  
— თევზისა რა გითხრა, მაგრამ ამ გამყიდველის საქმიანობას კი უდის  
ცუდი ხუნი..

49-205  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა



— მომკლა ტყეში ამდენმა აღმა-დაღმა ხეტიალმა, ახლა კი წავალ სამსახურში და დავისვენებ!

სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე (პ. მგ. რედაქტორი), აკ. ბელიაშვილი, ი. გრიშაშვილი, უ. ჯაფარიძე, კ. კალაძე, ი. ნონეშვილი (პ. მგ. რედაქტორის მოადგილე), ს. ფაშალიშვილი.

თბილისი. სატირიკო-იუმორისტისკი ჟურნალი „ნიანგი“. რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 14. ტელ. 3-10-49

ხელმოწ. დასაბ. 1949 წ. 13/IX. ტექსტი აწვობილია ლ. პ. ბერიას სახ. პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტის“ სტამბაში, შტკ. №, 1151. ლენინის ქ. № 14. დაბეჭდილია სტამბა „ზარია ვოსტოკას“ ოფსეტმანქანაზე, შტკ. № 1901. თბილისი, რუსთაველის გამზ. № 42. გამოც. № 99. ტირ. 11000. უფ 03674.